ქ. თბილისი 16 ნოემბერი 2015 წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №055

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ: სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში-შემსყიდველი), მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბერულავას სახით,

მეორე მხრივ: სს "გუდვილი" (შემდგომში-მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. №1, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით,

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის გზით (მონეტარული ზღვრის დაცვით), სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას მიაწოდოს 1) სხვადასხვა დასახელების წვენები 46ც – 163,30 ლარი - კლასიფიკატორის (**CPV**) კოდით - 15321000 ხილის წვენები, 2) თეფში საშუალო (10 ცალიანი) 65ც - 64,35 ლარი - კლასიფიკატორის (**CPV**) კოდით – 39222100 ერთჯერადი დანა-ჩანგალი და თეფშები, 3) ბისკვიტი შოკოლადით 27ც – 175,50 ლარი, 4) ბისკვიტი შოკოლადში 6ც – 42,90 ლარი, 5) მარილიანი კრეკერი 6ც – 16,50 ლარი, 6) მარილიანი ბრეცელი 16ც – 45,60 ლარი, 7) სამარხვო ფხვიერი ნამცხვარი თხილით 3,712კგ. – 50,11 ლარი, 8) პეჩენია ჯინჯერით 1,33კგ. – 11,30 ლარი, 9) პეჩენია დარიჩინის 0,978კგ. – 11,74 ლარი, 10) პეჩენია ხილის ჯემით 5,632კგ. – 70,96 ლარი - კლასიფიკატორის (**CPV**) კოდით – 15812200 ნამცხვრები, 11) ჰაერის გამწმენდი არომატული აეროზოლი 10ც – 39,50 ლარი – კლასიფიკატორის (CPV) კოდით – 39811100 ჰაერის გამწმენდი, 12) ნათურა 20ც - 38 ლარი - კლასიფიკატორის (CPV) კოდით – 31531000 ნათურები, 13) მინერალური წყალი ბაკურიანი 0,5ლ. 220ც - 66 ლარი – კლასიფიკატორის (CPV) კოდით – 15981100 არაგაზირებული მინერალური წყალი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2 საქონლის მიწოდება უნდა დასრულდეს 2015 წლის 18 ნოემბერს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 795,76 (შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 –ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი:

4.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის საქონელი.

4.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი:

4.2.1 ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

საქონელი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული საქონლის ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.3 ამ მუხლით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი გიორგი ეზუგბაია.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი გიორგი ეზუგბაია.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;
8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.
8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 5 დღით ადრე.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 16 ნოემბერს და მოქმედებს 2015 წლის 21 დეკემბრამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი

შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

15.2 თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი. ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობისას არ გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

16. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ანგ №200122900; კოდი: 220101222

საიდენტიფიკაციო კოდი 205296188

ნინო ბერულავა

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

<u>მიმწოდებელი:</u>

სს "გუდვილი"

მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. №1

ტელ: 224 36 73

საიდენტიფიკაციო კოდი: 206343991

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის №GE61TB3615336020100004

გიორგი ხაბაშვილი

GOODWILL

გენერალური დირექტორი